თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ. თელავი 2019 წლის 15 აპრილი

თავმჯდომარეობდა: კომისიის წევრი გიგა მამუკელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: იოსებ პარწიკანაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს: გ. მამუკელაშვილი

გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან კოჭლოშვილი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ დაესწრება სხდომას, ამიტომ მისი დავალებით დღევანდელ სხდომას წარუძღვება თვითონ.

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიგა მამუკელაშვილმა საკითხთან დაკავშირებით განმარტება მოსთხოვა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს, რომელმაც აღნიშნა, რომ: სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ქვეპროგრამა საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე ითვალისწინებს სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემას, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობას. ქვეპროგრამით განსაზღვრულია თითოეულ ბენეფიციარზე პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტის ღირებულების ფარგლები და ფულადი საჩუქრის ოდენობა, მაგრამ გათვალისწინებული არ არის რამდენი ლარის ფარგლებში უნდა გაიცეს თითოეულ ბენეფიციარზე სასაჩუქრე ამანათი. ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს სასაჩუქრე ამანათის ღირებულების განსაზღვრა თითოეულ ბენეფიციარზე.

წარმოდგენილი ცვლილების პროექტის თანახმად, სასაჩუქრე ამანათის ღირებულება თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვრება 10-დან 1000 ლარის ფარგლებში.

ცვლილების პროექტის დამტკიცება გამოიწვევს თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებების ფარგლებში გათვალისწინებული თანხების მიზნობრივ ხარჯვას.

გადაწყვიტეს: კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №71 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

სხდომის დასასრულს კომისიის წევრი ბაადურ რევაზიშვილი დაინტერესდა სოფელ ბუშეტის საბავშვო-ბაღში აღსაზრდელების მოწამვლის საკითხთან დაკავშირებით. გიგა მამუკელაშვილი დაუკავშირდა ბაგა-ბაღების სააგენტოს მართვის ხელმძღვანელს, როგორც

თინათინ ხანჯალიაშვილმა განაცხადა საკვებისგან ბავშვების ინტოქსიკაცია არ დადასტურდა, თუმცა ლაბორატორიული კვლევის შედეგები ამ ეტაპზე არ არის ცნობილი, თინათინ ხანჯალიაშვილის ინფორმაციით ლაბორატორიაში წყლის სინჯებს უტარდება კვლევები.

კომისიის წევრი

სხდომის თავმჯდომარე: გიგა მამუკელაშვილი